



GLOTTOPHOBIA – LANGUAGE DISCRIMINATION

Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: November 5, 2024
Published: December 27, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19032024-56



Tsiuri Akhvlediani
Doctor of Philology,
Professor Emeritus at Iv. Javakhishvili Tbilisi State University,
E.mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

ABSTRACT

The article considers the negative impact of glottophobia and ways to combat this phenomenon in various spheres such as work, education, culture and politics, and also why some languages and accents suffer the greatest discrimination and which regions have various linguistic habits and traditions. Glottophobia can cause low self-esteem, exclusion from social groups, anxiety about work and the future. There are some ways to fight glottophobia in different areas of life: 1. work, 2.education, 3.Culture and 4.politics.

The fight against glottophobia, i.e. language discrimination is a process that requires attention and mass efforts. It is important to take into consideration that each language has its own unique cultural and social significance. Interaction between people speaking different languages is essential for optimizing the advancement of scientific discoveries, technological initiatives, changes in economic and cultural standards, and human relations.

Keywords: *glottophobia, language discrimination, accent, culture of everyday life, development of intercultural relations.*

REFERENCES:

1. Arditty J., Ph. Blanche Ph., La glottophobie française, une xénophobie qui s'ignore, Paris, 2008;
2. Gadet, F, Langue et variation, Paris, 2020;
3. Nugzar Antelava, Manana Bukia, Merab Chukhua, Explanatory Dictionary of Ethnolinguistic Terms, Tbilisi, 2023.



გლოტოფობია ანუ ენობრივი დისკრიმინაცია

ციური ახვლედიანი,


ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტის,
პროფესორ - ემერიტუსი
ელ.ფოსტა: tsiuriakhvlediani@yahoo.com

აბსტრაქტი

ყოველ ენას გააჩნია თავისი უნიკალური კულტურული და სოციალური დანიშნულება. სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა შორის ურთიერთობა მნიშვნელოვანია, რათა ოპტიმიზირებულ იქნეს წინსვლა სამეცნიერო აღმოჩენათა, ტექნოლოგიურ ინოვაციებათა, ეკონომიკურ და კულტურულ სტანდარტთა ცვლილებების, გლობალური ურთიერთქმედებების გაუმჯობესებისა და ადამიანთა შორის ურთიერთობათა სფეროებში.

სტატიაში განიხილება გლოტოფობიის ნეგატიური გავლენა და ამ მოვლენასთან ბრძოლის ხერხები ისეთ სხვადასხვა სფეროებში, როგორებიცაა მუშაობა, განათლება, კულტურა და პოლიტიკა. ასევე, რატომ ხდება, რომ ზოგიერთი ენა და აქცენტი განიცდის უდიდეს დისკრიმინაციას, რომელ რეგიონებს აქვთ სხვადასხვა ენობრივი ჩვევები და ტრადიციები.

საკვანძო სიტყვები: გლოტოფობია, ენობრივი დისკრიმინაცია, აქცენტი, ყოველდღიური ცხოვრების კულტურა, კულტურათაშორისი ურთიერთობის განვითარება.



შესავალი

ტერმინი გლოტოფობია წარმოიშვა 1990 - იან წლებში. გლოტოფობია (ბერძნ. **glotta** „ენა“+**phobos** „შიში“) – ენობრივი დისკრიმინაცია; როგორც ენობრივი დისკრიმინაცია, როგორც ქსენოფობიის ერთ-ერთი სახე, იგი წარმოადგენს პიროვნების ან ეთნიკური ჯგუფის სამოქალაქო და/ან ეკონომიკური უფლებების დარღვევას მათ მიერ ამა თუ იმ ენის არცოდნის ან არასაკმარისი ცოდნის გამო. (ეთნოლინგვისტურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი). სოციოლინგვისტი ფილიპ ბლანშე შეინაველიდა ენებს და ათავსებდა მათ სოციალურ კონტექსტში. მას არ მოსწონდა გამონათქვამი „ენობრივი დისკრიმინაცია“. ის მიიჩნევდა, რომ დისკრიმინაცია შეიძლება ეხებოდეს როგორც ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის მშობლიურ ენას, ასევე ისეთ ცალკეულ სამეტყველო მახასიათებლებს, როგორებიცაა აქცენტი, ლექსიკური მარაგი და სინტაქსი. ტერმინი „გლოტოფობია“ იძლევა საშუალებას, რომ ინტეგრირებულ იქნეს სახელდობრ ეს სოციალური განზომილება. მე განვსაზღვრავ ამას, როგორც წართმევას ადამიანებისათვის იმ უფლებებისა და რესურსებისა, როგორებიცაა საზოგადოებრივი ცხოვრება, განათლება, დასაქმება, საცხოვრებელი ბინა“, – წარმოთქვა მან თავის ინტერვიუში გაზეთ Libération - ში.

ძირითადი ტექსტი

2008 წელს, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჟურნალში, გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატია, სახელწოდებით „გეტოთა “ცუდი ენა““ (გეტო - დიდ ქალაქებში საგანგებოდ გამოყოფილი უბანი, სადაც ასახლებენ უფლებებზე ზღუდულ ეროვნულ უმცირესობებს; მაგ. ზანგთა გეტო, ებრაელთა გეტო). ფილიპ ბლანშე და სოციოლინგვისტი ჟო არდიტი განიხილავენ გლოტოფობიას როგორც ალტეროფობიის ფორმას, ანუ არასრულყოფილების შიშს. მათი აზრით, ეს მოვლენა წარმოადგენს „ზიზღს, აბუჩად აგდებას, უფლებებელყოფას, აგრესიას იმ ადამიანების მიმართ მათი განსხვავებულობის გამო, „გამოფიტული“ ენის კულტირებისათვის, რომელიც არ იცავს გრამატიკის, ლექსიკის, ორთოგრაფიის ნორმებს“. ეს ტერმინი მოექცა ყურადღების ცენტრში პოლიტიკისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. ასე მაგალითად, 2017 წელს, საფრანგეთში, პრეზიდენტის არჩევნების დროს, დიდი ყურადღება მიიქცია ვიდეომ, რომელშიც მემარცხენე ძალთა ლიდერი ჟან-ლუკ მელანშონი დამამცირებლად მიმართავდა და ბაძავდა ჟურნალისტი ქალბატონის პროვინციულ აქცენტს, რომელიც ჩამოსული იყო საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთიდან; შემდეგ კი მიმართა დამსწრე საზოგადოებას: „ვინმეს გაქვთ ფრანგულად

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



ფორმულირებული შეკითხვა, მეტ-ნაკლებად გასაგებ ენაზე?“ ამ ინციდენტის შედეგად, ენობრივი დისკრიმინაციის საკითხი ფრანგ პარლამენტართა სხდომაზე განიხილეს. ყოველ ქვეყანასა და ყოველ რეგიონს აქვს თავისი საკუთარი უნიკალური ენობრივი ჩვევები და ტრადიციები. მსოფლიოში 7000 -ზე მეტი ენაა, სხვადასხვა კულტურისა და ტრადიციების მატარებელი და ყოველ მათგანს იყენებს მილიონობით ადამიანი. მაგალითად, ევროპაში, რომელიც წარმოადგენს მრავალენოვან კონტინენტს, თითოეულ ქვეყანას აქვს უნიკალური ოფიციალური და არაოფიციალური ენები. ესპანეთში, მაგალითად, ოფიციალური ენებია ესპანური, კატალანური და გალისიური ენები, ბელგიაში კი, სადაც ცხოვრობს დიდი რაოდენობის უცხოელი მუშაკი, დამატებით გამოიყენება ფრანგული, გერმანული, ფლამანდური და ვალონური ენები. აზიაში არსებობს დიდი რაოდენობის მრავალენოვანი რეგიონი. ინდოეთში, მაგალითად, 20-ზე მეტი ოფიციალური ენაა, ჩინეთში კი - 50-ზე მეტი. კორეაში ლაპარაკობენ კორეულ ენაზე, მაგრამ ქვეყნის ჩრდილოეთში ლაპარაკობენ ფხენიურ ენაზე, სამხრეთში კი - სეულურ ენაზე. აფრიკაში, ცნობილია მრავალი უნიკალური ენის კონცენტრაცია. მაგალითად, სუახილი წარმოადგენს აღმოსავლეთ აფრიკის დიდი რაოდენობის ქვეყნების საერთო ენას. სამხრეთ ამერიკის დიდი ნაწილი ლაპარაკობს ესპანურ და პორტუგალიურ ენებზე, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანი ენაა კეჩუა პერუსა და ბოლივიაში. ჩრდილოეთ ამერიკაში, ინგლისური და ესპანური წარმოადგენენ ყველაზე მეტად გავრცელებულ ენებს, მაგრამ ასევე არსებობს მრავალრიცხოვანი თემები, რომლებიც იყენებენ სხვა ენებს. მაგალითად, არიზონაში, ნავაჰოს ინდიელების ოფიციალური ენაა - ნაჰუატლი.

ამგვარად, ჩანს, რომ თითოეული რეგიონისა და ქვეყნის კულტურული, გეოგრაფიული და ისტორიული მემკვიდრეობა აისახება სხვადასხვა ენებსა და ჩვევებში, რომლებიც დამახასიათებელი და ნიშანდობლივია ამ რეგიონებისათვის. ყოველ ენას გააჩნია თავისი უნიკალური სულიერება და უნარი, რომ ასახოს სამყარო და ცხოვრება სხვადასხვა კონტექსტში და ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ შევინარჩუნოთ და პატივი ვცეთ მრავალფეროვან კულტურულ სიმდიდრეს. არსებობს გლოტოფობია-სთან ბრძოლის სხვადასხვა თვალსაზრისი. პირველი თვალსაზრისი გულისხმობს, რომ ენის მატარებლის აქცენტის მიბაძვა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ენის მატარებლისადმი პატივისცემის გამოსატყა.

მაგალითად, უცხოური ენის მატარებელთან, ადამიანს შეუძლია შეეცადოს, რომ მიბაძოს მის წარმოთქმას იმისათვის, რომ აჩვენოს დაინტერესება და მზაობა მასთან დიალოგში. ასეთი საქციელი ქმნის მეგობრულ და ორმხრივ გასაგებ ატმოსფეროს მოსაუბრეთა შორის და აახლოვებს მათ ერთმანეთთან. თუმცა, არსებობს სხვა თვალსაზრისიც, რომელიც ამტკიცებს, რომ ენის მატარებლის აქცენტის მიბაძვა შეიძლება განვიხილოთ დაცინვის ფორმად. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი ცდილობს მიიღოს ისეთი სახე, რომ მან არ იცის ენა ენის მატარებელზე უკეთესად და ბაძავს მის აქცენტს იმისათვის, რომ აჩვენოს თავისი უპირატესობა ან გამოინვიოს დაცინვა. ამიტომაც, ენის მატარებლის აქცენტის მიბაძვა შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგი და ყველაფერი დამოკიდებულია იმ კონტექსტზე, რომელშიც ხდება ეს ქცევა. თუ აქცენტის მიბაძვა ხორციელდება, კომუნიკაციის პროცესში, მეგობრული ატმოსფეროს შექმნის მიზნით, ეს შეიძლება იყოს სასვებით მართებული და პატივისმდებელი. მოვიყვანოთ სხვადასხვა სიტუაციის რამოდენიმე მაგალითს, რომლებშიც უმჯობესია ჩვენი ქმედება:

1. თუ ვხვდებით სტუმარს, რომელიც არც თუ ისე კარგად ლაპარაკობს უცხოურ ენაზე, მაშინ, ვიდრე დაინწყებდეთ ლაპარაკს, აუცილებელია გავიგოთ რადონზე ფლობს ჩვენი სტუმარი ენას. თუ იგი მხოლოდ ახლა იწყებს ენის შესწავლას, უნდა ვეცადოთ, რომ ველაპარაკოთ ნელა და სიტყვები წარმოვთქვათ გარკვეულად, მკაფიოდ. არასასურველია, რომ გამოვიყენოთ ძალიან რთული ფრაზები და გამონათქვამები. თუ სტუმარი უკვე გამოცდილად ფლობს ენას და არ განიცდის სირთულეებს ურთიერთობაში, მაშინ შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენი საკუთარი აქცენტი, რათა შევქმნათ უფრო თბილი ატმოსფერო.

2. ისეთ სიტუაციაში, როდესაც ვეცნობით ისეთ ადამიანს, რომლის აქცენტი განსხვავდება ჩვენი აქცენტისაგან, უნდა შევეცადოთ, რომ არ მივაქციოთ ყურადღება აქცენტს. თუ რაიმე გაუგებარი იქნება, შეიძლება დავსვათ დამაზუსტებელი შეკითხვები. ყურადღება მივაქციოთ ნათქვამის შინაარსს და არა ძლიერ აქცენტს. თავაზიანობა და ტოლერანტობა კულტურული განსხვავებებისადმი უნდა იყოს პირველ ადგილზე.

3. მუშაობა ჯგუფში, რომლის რამდენიმე წევრი ლაპარაკობს უცხოურ ენაზე. თუ თქვენ და თქვენი კოლეგები ლაპარაკობთ სხვადასხვა ენებზე, ურთიერთობისათვის რეკომენდირებულია გამოიყენოთ ის ენა, რომელიც ასე თუ ისე ყველამ იცით. საერთო



ლინგვისტური სისტემის არჩევით, შეიძლება შეიქმნეს ჰარმონიული და მონესრიგებული სამუშაო სიტუაცია, რაც აღიქმება კულტურული განსხვავებების პატივისცემად სამუშაო ჯგუფში.

4. მოგზაურობა სხვა ქვეყნებში. იმ პერიოდში, როდესაც ვიმყოფებით სხვა ქვეყანაში, ვეცადოთ ვისწავლოთ და გამოვიყენოთ ზოგიერთი ფრაზა ადგილობრივ ენაზე, როგორებიცაა „მადლობა“ ან „გამარჯობა“. ენობრივმა დისკრიმინაციამ შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს ადამიანებზე, დააბრკოლოს და შეაფერხოს მათი წინსვლა სწავლასა და კარიერის მიღწევაში. განათლების განვითარებამ, სხვადასხვა ენობრივი და კულტურული ტრადიციების მიმართ ტოლერანტობამ, ასევე აზრთა და გამოცდილებათა გაცვლამ სხვადასხვა ენობრივ და კულტურულ სფეროებში, შესაძლებელია შეამციროს ენობრივი დისკრიმინაცია.

გლოტოფობიამ შეიძლება გამოიწვიოს თვითშეფასების დადაბლება, სოციალური ჯგუფებიდან გარიცხვა, შფოთვა სამსახურსა და მომავალზე.

დასკვნა

არსებობს გლოტოფობიასთან ბრძოლის ზოგიერთი ხერხი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში:

1. სამუშაო. გლოტოფობიის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს დისკრიმინაცია სამსახურში მიღებისას. ენის საფუძველზე დისკრიმინაციის თავიდან აცილებისათვის, სამუშაოს მიმცემებმა უნდა განაცხადონ, რომ ისინი არ დაუშვებენ ასეთ დისკრიმინაციას და სამუშაოზე მიღება ხდება კვალიფიკაციის საფუძველზე.

2. განათლება. ცხოვრების კიდევ ერთ-ერთი სფერო, სადაც შესაძლებელია გლოტოფობია, არის განათლება. ეს შეიძლება მოხდეს იმ სტუდენტთა აქცენტებთან დაკავშირებით, რომლებიც სრულად ვერ ფლობენ იმ ქვეყნების ენებს, სადაც სწავლობენ, ან იმიგრირებულნი არიან სხვა ქვეყნიდან. ასეთ შემთხვევაში, ენობრივი დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სწავლების სხვადასხვა მეთოდები, როგორებიცაა ნაციონალური ენების გამოყენება სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებში, ენობრივი კლუბების მხარდაჭერა და სხვა საშუალებებიც, რომლებიც

ხელს შეუწყობენ სტუდენტებს თავიანთი პოტენციალის გახსნისათვის.

3. კულტურა. გლოტოფობიასთან დაკავშირებით, საჭიროა გაუმჯობესდეს მრავალენოვანი საშუალებების გამოყენება სხვადასხვა ენებზე, მაგალითად, სუბტიტრების, გადაცემებისა და თარგმანების ტრანსლიაცია სხვადასხვა ენებზე.

4. პოლიტიკა. მეტყველების ინტონაცია და მანერა არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ ცხოვრებაში. მთლიანობაში, ენობრივი დისკრიმინაციის გადალახვისათვის, აუცილებელია ვებრძოლოთ სოციალურ მიდრეკილებასა და მიკერძოებას განსაზღვრული ენებისა და აქცენტების მიმართ. საზოგადოება უნდა აცნობიერებდეს, რომ ყოველი ენა წარმოადგენს კულტურისა და იდენტობის ნიშანს, ასევე საჭიროა მისი პატივისცემა და დაცვა. ამისათვის, საჭიროა ისეთ რიგ ღონისძიებათა მიღება, როგორებიცაა მთარგმნელთა კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი პროგრამების შემოღება, მრავალენოვანი სკოლებისა და საბავშვო ბაღების გახსნა, ასევე ისეთი სამუშაო დაწესებულებების გახსნა, რომლებშიც იმუშავენ სხვადასხვა ენებზე მომუშავე ადამიანები. ასევე შესაძლებელია ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, როგორებიცაა ვიდეო და აუდიოჩანაწერები. UNESCO - ს მსოფლიო მემკვიდრეობის პროექტი გვეხმარება, რომ შევინარჩუნოთ ძველი ენები და კულტურები, მხარი დაუჭიროთ იმ უნიკალურ ენებს, რომლებიც იმყოფებიან გაქრობის საფრთხის ქვეშ.

ამგვარად, ბრძოლა გლოტოფობიისა და ენობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ წარმოადგენს პროცესს, რომელიც მოითხოვს ყურადღებასა და მასობრივ ძალეებს. აუცილებელია გაგება იმისა, რომ ყოველ ენას გააჩნია საკუთარი უნიკალური, კულტურული და სოციალური მნიშვნელოვნობა. სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ადამიანთა შორის ურთიერთქმედება მნიშვნელოვანია, რომ ოპტიმიზირებულ იქნეს წინსვლა სამეცნიერო აღმოჩენების, ტექნოლოგიური ინიციატივების, ეკონომიკური, კულტურული სტანდარტების ცვლილებებისა და ადამიანთაშორის ურთიერთობების სფეროებში.